ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

195 (5595) | შაბათი, 26 აგვისტო 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

განა ცხადი არ არის, რომ სტახანოველები ნოვატორები არიან ჩვენს მრეწველობაში; რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს; რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის თესლს, რომ იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც მარტოდერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად.

ი. სტალინი — სიტყვიდან მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველ მუშათა და მუშა ქალთა I საკავშირო თათბირზე — 1935 წელი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მოწვევის შესახებ

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეოთხე, რიგსგარეშე სესია ა.-წ. 28 აგვისტოს ქ. მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 24 აგვისტო

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ

თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის ტექსტსაც დღეს ვაქვეყნებთ, უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. ეს დოკუმენტი გამოხატავს საბჭოთა კავშირის თანმიმდევრობითს სამშვიდობო პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მუდამ გამომდინარეობდა მისწრაფებიდან—დაეცვა და შეენარჩუნებინა მშვიდობიანობა. თავის ამ პოლიტიკაში სსრ კავშირი მუდამ ისწრაფვოდა მეგობრული და საქმიანი კავშირი დაემყარებინა და განემტკიცებინა ყველა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამ პოზიციას იზიარებდნენ. ამხანაგმა სტალინმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას, განაცხადა:

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგევართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“.

თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირმა დასდო გერმანიასთან, სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის პოზიციას, როგორც იგი ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა.

სსრ კავშირისა და გერმანიის ურთიერთობა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის მომენტიდან წესრიგდებოდა ჯერ რაპალოს ხელშეკრულებით, რომელიც 1922 წელს დაიდო, და შემდეგ ნეიტრალიტეტის შესახები ხელშეკრულებით, რომელიც 1926 წლის 24 აპრილს დაიდო. 1926 წლის ხელშეკრულება აწესებს, რომ „იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთერთ მხარეს, მისი მშვიდობიანი მოქმედების მიუხედავად, თავს დაესხმის მესამე სახელმწიფო ან რამდენიმე მესამე სახელმწიფო, მაშინ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე ნეიტრალიტეტს დაიცავს მთელი კონფლიქტის განმავლობაში“. იმავე ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ „თუ მე-2 მუხლში მოხსენებული ხასიათის კონფლიქტთან დაკავშირებით ანდა როცა ხელშეკრულების დამდები არცერთი მხარე არ იქნება გარეული შეიარაღებულ შეტაკებებში, მესამე სახელმწიფოთა შორის კოალიცია შეიქმნება ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარისათვის ეკონომიური ან ფინანსიური ბოიკოტის გამოცხადების მიზნით, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე ასეთ კოალიციას არ მიემხრობა“.

23 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, როგორც აღნიშნულია მის ტექსტში, 1926 წლის ხელშეკრულების ამ ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ამავე დროს შეიცავს აგრეთვე ამ დებულებათა შემდგომ განვითარებას ორივე ქვეყანას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების მიზნით. ასე, ხელშეკრულების I მუხლში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს თავი შეიკავოს ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან ერთმანეთის მიმართ, როგორც ცალკე, ისე სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

ხელშეკრულების II მუხლი ითვალისწინებს ნეიტრალიტეტის დაცვას ხელშეკრულების დამდები სათანადო მხარის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე საომარი მოქმედების ობიექტი გახდება მესამე სახელმწიფოს მხრივ.

უდავოა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს IV მუხლს, რომელიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ვალდებულებას აკისრებს მონაწილეობა არ მიიღონ სახელმწიფოთა რაიმე დაჯგუფებაში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის მიმართული მეორე ქვეყნის წინააღმდეგ.

ხელშეკრულების V მუხლის დიდი მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ორ მხარეს შორის რაიმე დავა და კონფლიქტი წარმოიშვა, ეს მუხლი ითვალისწინებს ამ დავისა და კონფლიქტის მხოლოდდამხოლოდ მშვიდობიანი მეთოდით გადაჭრას.

ხელშეკრულების ათი წლის ვადა, რაც დაწესებულია VI მუხლით, იმას მოწმობს, რომ ორივე მხარე მისწრაფებას იჩენს განამტკიცოს მშვიდობიანი ურთიერთობა ორივე მხარეს შორის დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ხელშეკრულების თვითეული ცალკე მუხლის, ისევე როგორც მთელი ხელშეკრულების შინაარსი გამსჭვალულია მისწრაფებით — თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტი, განმტკიცებულ იქნას მშვიდობიანი და საქმიანი ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის. არავითარი ეჭვი არ არის, რომ თავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულება მოსპობს იმ დაძაბულობას, რომელიც არსებობდა სსრ კავშირისა და გერმანიის ურთიერთობაში.

მაგრამ დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა მარტო იმით არ იფარგლება, რომ იგი ურთიერთობას აწესრიგებს ხელშეკრულების დამდებ ორ მხარეს შორის. ხელშეკრულება დადებულია იმ მომენტში, როდესაც საერთაშორისო ვითარებამ მეტად დიდ სიმწვავესა და დაძაბულობას მიაღწია. სამშვიდობო აქტი, როგორიც არის სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულება, უეჭველად ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ვითარებაში, უეჭველად ხელს შეუწყობს ამ დაძაბულობის მოსპობას.

სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების დადება უეჭველად უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან ხელშეკრულება წარმოადგენს მშვიდობიანობის იარაღს, რომელიც მოწოდებულია არა მარტო განამტკიცოს კეთილმეზობლური და მშვიდობიანი ურთიერთობა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის, არამედ მშვიდობიანობის საყოველთაო განმტკიცების საქმესაც ემსახუროს.

გერმანიასა და სსრ კავშირს შორის მტრობას ბოლო ელება. იდეოლოგიისა და პოლიტიკური სისტემის სხვადასხვაობა არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს დაბრკოლება ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის. სსრ კავშირის და გერმანიის ხალხთა მეგობრობამ, რაც გერმანიისა და სსრ კავშირის მტრების მეცადინეობით ჩიხში იყო მომწყვდეული, ამიერიდან საჭირო პირობები უნდა ჰპოვოს თავისი განვითარებისა და აყვავებისათვის.

„პრავდის“ მოწინავე, 24/VIII

იუსტიციის მუშაკთა აქტივის თათბირი

23 აგვისტოს, საღამოს, დამთავრდა საბჭოთა იუსტიციის მუშაკთა აქტივის თათბირი.

საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ნ. მ. რიჩკოვმა, რომელმაც მართებულად მიიჩნია სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობის კრიტიკა. მან აღნიშნა, რომ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის არასაკმაოდ გაშლის მიუხედავად, აქტივის თათბირმა ხელი შეუწყო სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და მოკავშირე რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატების მუშაობაში არსებულ უმნიშვნელოვანეს ნაკლოვანებათა გაშუქებას.

უახლოეს დღეებში სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგია დაწვრილებით შეისწავლის აქტივის თათბირის შედეგებს და შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნებისა და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სასამართლო წყობილების შესახები კანონის შესაბამისად.

აქტივის თათბირმა მქუხარე ტაშით მიიღო მისალმებანი ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვისადმი. (საკდესი).

მარჯანიშვილის სახ. თეატრის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვი, 23 აგვისტო **(ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.).** გუშინ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დიდი წარმატებით მეოთხეჯერ დასდგა პიესა „ნაპერწკლიდან“. დღეს განმეორებით იდგმება „მზის დაბნელება საქართველოში“.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების დადება თავდაუსხმელობის შესახებ

23 აგვისტოს ნაშუადღევის 3 საათსა და 30 წუთზე შესდგა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. მოლოტოვის პირველი საუბარი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ფონ-რიბენტროპთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების საკითხზე. საუბარი სწარმოებდა ამხანაგ სტალინისა და გერმანიის ელჩის ბ-ნ შულენბურგის თანდასწრებით და დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. შესვენების შემდეგ, საღამოს 10 საათზე, საუბარი განახლდა და დამთავრდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელის მოწერით, რომლის ტექსტიც მოგვყავს ქვემოთ.

ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის შესახებ

სსრ კავშირის მთავრობამ და გერმანიის მთავრობამ,

რომელნიც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მშვიდობიანობის საქმის განმტკიცების სურვილით და ნეიტრალიტეტის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 1926 წლის აპრილში დადებული ხელშეკრულების ძირითადი დებულებებით,

შემდეგს შეთანხმებას მიაღწიეს:

მუხლი I.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს თავი შეიკავოს ყოველგვარი ძალადობისაგან, ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისა და ყოველგვარი თავდასხმისაგან ერთმანეთის მიმართ, როგორც ცალკე, ისე სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

მუხლი II.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე საომარი მოქმედების ობიექტი გახდება მესამე სახელმწიფოს მხრივ, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე არავითარი სახით არ დაეხმარება ამ სახელმწიფოს.

მუხლი III.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მთავრობებს მომავალში კონტაქტი ექნებათ ერთმანეთთან კონსულტაციისათვის, რათა ინფორმაცია მიაწოდონ ერთმანეთს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათს საერთო ინტერესებს შეეხება.

მუხლი IV.

ხელშეკრულების დამდები არცერთი მხარე არ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოთა რაიმე დაჯგუფებაში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართულია მეორე მხარის წინააღმდეგ.

მუხლი V.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის დავა ან კონფლიქტი წამოიჭრება ამა თუ იმ ხასიათის საკითხის შესახებ, ამ დავას ან კონფლიქტს ორივე მხარე გადასჭრის მხოლოდდამხოლოდ მშვიდობიანი გზით, აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლის წესით ანდა, საჭირო შემთხვევაში, კონფლიქტის მოსაგვარებელი კომისიების შექმნის გზით.

მუხლი VI.

ეს ხელშეკრულება დადებულია ათი წლის ვადით იმ პირობით, რომ, რამდენადაც ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსირებას ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად განგრძობილად ჩაითვლება შემდგომი 5 წლისათვის.

მუხლი VII.

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში. რატიფიცირების სიგელთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოხდეს ბერლინში. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელის მოწერისთანავე.

შედგენილია ორ ორიგინალად, გერმანულსა და რუსულ ენაზე, მოსკოვს, 1939 წლის 23 აგვისტოს.

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით	გერმანიის მთავრობის სახელით
ვ. მოლოტოვი	ი. რიბენტროპი

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ფონ-რიბენტროპი გაემგზავრა მოსკოვიდან

24 აგვისტოს, 13 საათსა და 25 წუთზე, მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოახიმ ფონ-რიბენტროპი.

ცენტრალურ აეროპორტზე ბ-ნი ფონ-რიბენტროპი გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. ს. სტეპანოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. დ. დ. კოროლევმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ევროპის განყოფილების გამგემ ამხ. ა. მ. ალექსანდროვმა, ქ. მოსკოვის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ამხ. ფ. ი. სუვოროვმა, გერმანიის საელჩოს შემადგენლობამ გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გრაფ ფონ-დერ შულენბურგის მეთაურობით და იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა როსომ. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო თათბირი საუნივერსიტეტო განათლების საკითხებზე

საუნივერსიტეტო განათლების საკითხებზე მოწვეულ სრულიად-საკავშირო თათბირზე 23 აგვისტოს სიტყვა წარმოსთქვეს სარატოვის უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. რუსაკოვმა, როსტოვის უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ბელოზეროვმა, გორკის უნივერსიტეტის პროფესორმა ამხ. სტანკოვმა და სხვ.

ყველა გამოსულმა ამხანაგმა ილაპარაკა თავისი სასწავლებლის მუშაობაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ.

ამხ. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა საუნივერსიტეტო განათლების უდიდესი მნიშვნელობა მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში. ამჟამად მთელი რიგი უნივერსიტეტების მუშაობა სრული მოცულობით არ ვითარდება. არ ასწავლიან ზოგიერთს სპეციალობას, კერძოდ, ჰუმანიტარული დისციპლინების დარგში. საჭიროა აღდგენილ იქნას უნივერსიტეტში ეს დისციპლინები და მათი შესაბამისი განყოფილებები და ფაკულტეტები. განხილულ უნდა იქნას ისეთი ფაკულტეტების აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხი, როგორიც არის ეკონომიური, იურიდიული და სხვა ფაკულტეტები.

საჭიროა შეიქმნას უნივერსიტეტების მშენებლობის ხუთწლიანი პროგრამა. განსახკომები, რომელთა გამგებლობაშიც უნივერსიტეტები იმყოფება, ამ საკითხს დღემდე ყურადღებას არ აქცევდნენ.

ამხ. ვიშინსკიმ დიდი ყურადღება მიაქცია უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. უნივერსიტეტები პედაგოგიურ კადრებს თავისთვის თვითონ უნდა ამზადებდნენ. თვითეული კათედრა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა, მაგრამ ამავე დროს მას თავისი ასპირანტურა უნდა ჰყავდეს, იგი უნდა ამზადებდეს მეცნიერებათა კანდიდატებსა და დოქტორებს.

თათბირმა სპეციალური კომისია გამოჰყო საუნივერსიტეტო განათლების საკითხზე წინადადებათა შესამუშავებლად (საკდესი).

ქრონიკა

23 აგვისტოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად-საკავშირო საზოგადოებაში მოხდა მიღება გერმანიის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც ჩამოსულია მოსკოვს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მიღებას დაესწრნენ: გერმანიის მიწათმოქმედების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი მორიცი, პროფესორი მაიერი, გრაფი გროტე, მიწსახკომის კოლეგიის წევრი ამხ. მოისეევი, აკადემიკოსი ლისკუნი, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჩმორა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად-საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

ამხ. ა. სტახანოვი

ამხ. დ. კონცედალოვი

ალექსი გრიგორის-ძე სტახანოვი თბილისში

25 აგვისტოს, დილით, ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანი, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის მძლავრი საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ინიციატორი, ორდენოსანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ალექსი გრიგორის-ძე სტახანოვი.**

ვაგზალზე ამხ. სტახანოვს შეხვდნენ: საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ჯაში**, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. სტურუა**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ამხ. **ს. იმხანოვი, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე**, საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **რ. კვირკველია**, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები — ამხ. **ვ. სალაძე** და **ლ. გორგიძე**, პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. **მ. ჩუბინიძე**, პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. **ვ. სიხარულიძე**, პარტიის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. **გ. გოჩაშვილი**, პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. **ვ. გარსევანიძე**, პარტიის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. **ნ. გალუსტოვი**, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ამხ. **მ. მესროპოვი** და სხვ.

ალექსი გრიგორის-ძის შესახვედრად მოვიდნენ სოციალისტური შრომის მოწინავეთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები, თბილისის საწარმოთა სტახანოველები: ამხ. **ზაკომოლდინი, გეწაძე, ნადირაძე**, მემანქანე-კრივონოსელები ამხ. **პაქსაშვილი, მელქაძე, კოხრეიძე** და სხვ.

ამხ. სტახანოვთან ერთად ჩამოვიდა მისი ამხანაგი, ორდენოსანი **დ. მ. კონცედალოვი**, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტში, ხოლო ამჟამად მასთან ერთად სწავლობს სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიაში. კომკავშირელ-მნგრეველის ამხ. კონცედალოვის სახელი ასევე კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის.

დამხვდურთა თანხლებით ამხ. სტახანოვი და კონცედალოვი გაემართნენ სასტუმრო „თბილისისაკენ“, სადაც გაიმართა მეგობრული საუბარი პრესის წარმომადგენლებთან.

— მე დიდი ხანია ვაპირებდი მზიურ საქართველოში, — დიდი სტალინის სამშობლოში ჩამოსვლას, — სთქვა ამხ. ა. სტახანოვმა. — ამჟამად ჩემი სურვილი განხორციელდა. მე ჩამოვედი, რომ საქმიან, საწარმოო ვითარებაში შევხვდე — ტყვარჩელის, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროელებს. მე ვუამბობ მათ დონბასის მაღაროელების მუშაობის შესახებ. ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ კიდევ უფრო უკეთ საქართველოსა და დონბასის მაღაროელთა შეჯიბრება, როგორ ვუპასუხოთ კონკრეტული საქმეებით „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტის კოლექტივის მომართვას სტახანოვური მოძრაობის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით. საქართველოში გამომგზავრების წინ მე მომიხდა საუბარი სტალინურ სახკომთან, **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩთან.** ამხანაგმა კაგანოვიჩმა მთხოვა გადამეცა მისი მგზნებარე სალამი საბჭოთა საქართველოს მაღაროელებისა და ყველა მშრომელისათვის.

○

25 აგვისტოს, დღისით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ამხ. ა. სტახანოვისა და დ. კონცედალოვის მიღება. მიღებას დაესწრნენ: საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ჩარკვიანი**, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ვ. ბაქრაძე**, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები: ამხ. **კ. შეროზია** და **მ. ჯაში**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. იმხანოვი**, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. სტურუა**, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ამხ. **ვ. ხატიაშვილი** და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **რ. კვირკველია.**

○

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის გაცნობის შემდეგ, 25 აგვისტოს, საღამოს, ამხ. ა. სტახანოვი და დ. კონცედალოვი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ამხ. მ. ჯაშთან ერთად გაემგზავრნენ ტყვარჩელქვანახშირის მაღაროებში. ამის შემდეგ ისინი ინახულებენ ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროელებს. (საქდესი).

ალექსი სტახანოვის წერილი

საბჭოთა საქართველოს მაღაროელებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მე უდიდესი ინტერესით ვადევნებ თვალყურს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით, თუ როგორ იშლება სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს და უკრაინის მაღაროელთა შორის. მოხარული ვარ, რომ ახლა უშუალოდ გავეცნობით თქვენ და გავეცნობი თქვენს მუშაობას შახტებში.

სათბობ მასალათა მრეწველობის სტალინურმა სახალხო კომისარმა ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩმა** პირადად მომცა წინადადება გამოვმგზავრებულიყავ საქართველოს ქვანახშირის რაიონებში და დამემყარებინა თქვენთან კიდევ უფრო მჭიდრო მეგობრული კავშირი.

ჩემთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა წარჩინებული ორდენოსანი მაღაროელი, ამჟამად ი. ბ. სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის სტუდენტი, დიმიტრი კონცედალოვი. შახტ „ცენტრალნაია ირმინოში“, სადაც ოთხი წლის წინათ დაიწყო საყოველთაო-სახალხო მოძრაობა შრომის სოციალისტური ნაყოფიერებისათვის, ამხ. კონცედალოვი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჩემთან ერთად. აქ ამხ. კონცედალოვმა მიაღწია მუშაობის სარეკორდო მაჩვენებლებს.

საქართველოს მაღაროებში ჩვენ ერთმანეთს გავუზიარებთ მუშაობის გამოცდილებას, დავსახავთ საქართველოს და უკრაინის მაღაროელთა შეჯიბრების შემდგომი გაშლის გზებს, ვეცდებით სავსებით შევასრულოთ ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ყველა მითითება ქვანახშირის მოპოვების გაძლიერების შესახებ.

მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ სტახანოვური მოძრაობის მეოთხე წლისთავს ვხვდები მზიურ საქართველოში — ამხანაგ **სტალინის**, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის, სტახანოველთა მრავალმილიონიანი არმიის საუკეთესო მეგობრის სამშობლოში.

გიგზავნით ძმურ სალამს.

ა. სტახანოვი.

სალამი სოციალისტური შრომის სახელოვან გმირს—ამხ. ა. სტახანოვს

გუშინ, ორდენოსან საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა სოციალისტური შრომის ლეგენდარული გმირი, ქვანახშირის მრეწველობის სახელგანთქმული ნოვატორი — ალექსი სტახანოვი. ამხ. სტახანოვს განზრახული აქვს დაათვალიეროს ტყიბულის, ტყვარჩელისა და ჭიათურის მაღაროები, აგრეთვე ესაუბროს თბილისის საწარმოთა სტახანოველებს.

ქართველი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეეგებება ამხ. ა. სტახანოვის ჩამოსვლის სასიხარულო ცნობას. საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სტახანოველთა მრავალათასიანი არმია საპატიო სტუმრის საქართველოში ჩამოსვლას უპასუხებს ახალი, მძლავრი საწარმოო აღმავლობით, სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლით, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებით.

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დონბასის სტალინის სახელობის „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტში გაისმა ა. სტახანოვის სანგრევი უროს დარტყმის მძლავრი ხმა, რომელმაც მაშინვე ჰპოვა გამოხმაურება მთელ ჩვენს ქვეყანაში. სტახანოვური მოძრაობის ალი ელვის სისწრაფით მოედო საბჭოთა ქვეყნის ყოველ ქალაქსა და სოფელს, და მან შრომის ნაყოფიერების ზრდის ნამდვილი სასწაული მოახდინა.

სტახანოველთა საკავშირო თათბირზე 1935 წლის ნოემბერში ამხანაგი **სტალინი** ამბობდა:

სტახანოვური მოძრაობა „ამსხვრევს ძველ შეხედულებებს ტექნიკაზე, ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, ძველ საპროექტო სიმძლავრეებს, ძველ საწარმოო გეგმებს და მოითხოვს ახალი, უფრო მაღალი ტექნიკური ნორმების, საპროექტო სიმძლავრეების, საწარმოო გეგმების შექმნას. ის მოწოდებულია რევოლუცია მოახდინოს ჩვენს მრეწველობაში“.

მეოთხე წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ეს ბრძნული სიტყვები იქნა წარმოთქმული. ამ ხნის განმავლობაში სტახანოველებმა მართლაც დაამსხვრიეს ძველი შეხედულებები ტექნიკაზე. მათ თავდაყირა დააყენეს ძველი ტექნიკური ნორმები და მოგვცეს შრომის ნაყოფიერების ისეთი მაჩვენებლები, რომლის მოცემაც შეუძლია მხოლოდ სოციალიზმს და რომელიც წარმოუდგენელია კაპიტალიზმის პირობებში.

ორდენოსან საქართველოში ათასობით არიან მოწინავე სტახანოველები, სოციალისტური შრომის ნოვატორები, რომელთაგან ბევრმა დიდიხანია უკან მოიტოვა შრომის ნაყოფიერების მსოფლიო რეკორდები. მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ისეთ სტახანოველთა სახელებს, როგორიცაა ვ. სამხარაძე, დ. ჭიჭინაძე, ა. წიკლაური, ვ. სალაძე, შ. ფურცხვანიძე, ქ. ბეშკენაძე, ტ. ფოფხაძე, პ. ბოყოველი, მ. გეწაძე, ზ. ნადირაძე, ივ. დევსურაშვილი, მ. გუგულაშვილი, ქ. სარსანია, ა. გურგენიძე, ც. ქარდავა, უშა ახუბა, ე. კილაძე, მ. ფუნდუკიდი, ხ. კაკაბაძე, ც. თევზაძე და მრავალი სხვები.

საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სტახანოველთა გამარჯვება უზრუნველჰყო იმან, რომ მათ წარმატებით აითვისეს მუშაობის სტახანოვური მეთოდი. ამ საქმეში მათ უდიდესი დახმარება გაუწია იმ შესანიშნავმა მეგობრულმა წერილებმა, რომლებითაც ამხ. ა. სტახანოვმა მიმართა საქართველოს ციტრუსებისა და ჩაის მოწინავე მებრძოლებს და საქართველოს მაღაროელებს.

ამასწინათ საქართველოს ქვანახშირის მაღაროელებმა ა. სტახანოვს წერილი მისწერეს. საპასუხო წერილში ამხ. სტახანოვი იტყობინებოდა, რომ იგი მალე ინახულებს ორდენოსან საქართველოს. ქართველი ხალხი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული აყვავებული უკრაინის ხალხთან, მოუთმენლად მოელოდა დონბასის ლეგენდარული მაღაროელის ა. სტახანოვის ჩამოსვლას მზიან საქართველოში. და აი, იმ დროს, როდესაც ქართველი სტახანოველები გახურებულ მუშაობაში არიან, რათა თვალსაჩინო გამარჯვებებით აღნიშნონ სტახანოვური მოძრაობის ოთხი წლისთავი, ისინი მიიღებენ სასიხარულო ცნობას — მათ ესტუმრა თვით ალექსი **სტახანოვი!**

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ძვირფასო ალექსი გრიგოლის-ძევ!

დაე, კიდევ უფრო მძლავრად გაიშალოს და მთელ ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოს მოედოს დიადი სტახანოვური მოძრაობის ახალი ტალღა!

გაუმარჯოს უკრაინელი და ქართველი ხალხის ურღვევ მეგობრობას სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში!

გაუმარჯოს სტახანოვური მოძრაობის სულისჩამდგმელს, სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერების შემქმნელს — დიდ **სტალინს!**

უცხოეთის პრესა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ

გერმანია

ბერლინი, 24 აგვისტო (საკდესი). დღეს გერმანიის გაზეთებმა პირველ გვერდებზე მოათავსეს გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ოფიციალური ცნობა საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ-რიბენტროპისა და ამხანაგ მოლოტოვის მოლაპარაკების შესახებ და გერმანიასა და სსრ კავშირს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. გაზეთების პირველ გვერდზე დაბეჭდილია გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ტექსტი.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დეიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი", გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოშვებაში სწერს, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებამ უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია გერმანიაში. ორი დიდი ხალხის ურთიერთობაში მომხდარი შემობრუნება,—სწერს „დეიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი",—შეეფერება იმ პოზიციას, რომელსაც რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში ატარებდა გერმანია აღმოსავლეთის დიდი ერის მიმართ. ცნობას ორ დიდ სახელმწიფოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ სიხარულით შეხვდნენ ხალხები, რომელთაც სხვისი ინტერესებისათვის გამოყენების საფრთხე ემუქრებოდათ.

გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" სწერს, რომ ცნობას გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული ახალი პაქტის შესახებ გერმანიის ხალხი შეხვდა, როგორც იმ მდგომარეობის აღდგენას, რომელიც გერმანიისა და რუსეთის ხალხებს შორის მუდამ არსებობდა, მცირე პერიოდის გამოკლებით". მოსკოვთან დადებული ახალი ხელშეკრულება,—სწერს შემდეგ გაზეთი,—ეს არის პრინციპული პოლიტიკა, რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შევინარჩუნოთ კარგი ურთიერთობა იმ ხალხებთან, რომლებსაც არავითარი „წინააღმდეგობა" არა ჰყოფს ერთმანეთისაგან". გერმანიისა და სსრ კავშირის გზაზე,—სწერს გაზეთი,—არსად არ არის ინტერესთა წინააღმდეგობა. სწორედ ამ მიზეზებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ორივე სახელმწიფო რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდა და საარსებო კავშირურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან.

გაზეთ „დეიჩე ალგემეინე ცაიტუნგმა" დღეს პირველ გვერდზე მოათავსა დიდი სტატია სათაურით „საბჭოთა კავშირი". ამ სტატიაში მოცემულია სსრ კავშირის ეკონომიური მიმოხილვა და აწერილია მისი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური წყობილება.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). ცნობას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ გაცხოველებით გამოეხმაურა ამერიკის პრესა.

ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ქალმა დოროტი ტომპსონმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის უდიდეს დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენს. ხელშეკრულების დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავენ ლენანდ სტოუ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნში", ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი მაკენზი და ამერიკის გაზეთების მთელი რიგი ვაშინგტონელი კორესპონდენტები.

მრავალი კორესპონდენტის აზრით, ხელშეკრულების დადება ნიშნავს სასტიკი წინააღმდეგობის გაწევას მიუნხენელებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აემხედრებინათ გერმანია.

გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" სწერს, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი ამცირებს ომის საფრთხეს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკისათვის ეს ხელშეკრულება ხელსაყრელია, ვინაიდან იგი იაპონიის პოზიციებს ასუსტებს. ამგვარად, —სწერს გაზეთი,—„საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არაპირდაპირ ხელსაყრელია, რამდენადაც იაპონია ჩვენი მოსალოდნელი მოწინააღმდეგეა".

იტალია

რომი, 24 აგვისტო (საკდესი). სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება იტალიის პრესას უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნია. იტალიის გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები თავიანთ ცნობებში აღნიშნავენ, რომ გერმანიამ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება იტალიის რჩევით და მისი სრული თანხმობით გადასწყვიტა. იტალიის გაზეთები „პოპოლო დ,იტალია", „ჯერიმე ფაშისტა" და სხვები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საკითხისადმი, თუ რა გავლენას მოახდენს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება ბალკანეთის ქვეყნებისა და თურქეთის პოლიტიკაზე.

ფინეთი

ჰელსინკი, 24 აგვისტო (საკდესი). ყველა გაზეთი დიდი სათაურით აქვეყნებს თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსს.

გაზეთი „უუსი სუომი" დღეს მოწინავეში სწერს: „არ შეიძლება იმისი უარყოფა, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთგაგება უეჭველად შეუწყობს ხელს მშვიდობიანობის განმტკიცებას და ბალტიის ზღვის მცირე ქვეყნების უშიშროებას".

ესტონეთი

ტალინი, 24 აგვისტო (საკდესი). ცნობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ სწრაფად გავრცელდა ქალაქში და საყოველთაო მსჯელობა გამოიწვია.

გაზეთი „პიავალეხტი" პაქტის მნიშვნელობის შესახებ სწერს: „პაქტის პოლიტიკური მნიშვნელობის გამორკვევისას საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთის პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შედეგად „იაპონიაში დაბნეულობა სუფევს".

იაპონია

ტოკიო, 24 აგვისტო (საკდესი). იაპონიის პოლიტიკურ წრეებში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ცნობამ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. დღეს ყველა გაზეთი სავსეა კომენტარიებით, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების საერთაშორისო მნიშვნელობას.

გაზეთი „ტეიტო ნიცი-ნიცი" სწერს: „სსრ კავშირისა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შედეგად ანტიკომინტერნული პაქტის პოლიტიკური ღირებულება არარაობად იქცევა. ამჟამად, ამ შეთანხმების არსებობის მეოხებით თავს იჩენს წინააღმდეგობანი ერთის მხრივ იაპონიასა და მეორეს მხრით—გერმანიასა და იტალიას შორის. ამგვარად, იაპონია, რომელიც ომს აწარმოებს, სავსებით ჰკარგავს მოკავშირეებსა და თანამგრძნობებს. ამჟამად არ არსებობს ისეთი გავლენიანი ქვეყანა, რომ შეეძლოს დახმარება აღმოუჩინოს იაპონიას, რომელიც სავსებით იზოლირებულია საერთაშორისო საქმეებში. გერმანიასა და სსრ კავშირს შორის ხელშეკრულების დადება პესიმისტურ განწყობილებას იწვევს ხალხში. ბევრი ფიქრობს, რომ ეს ცუდ გავლენას მოახდენს ჩინეთში წარმოებულ ომზე".

გაზეთი „ნიცი-ნიცი" სწერს, რომ ინგლისის პოლიტიკამ, რომელიც გერმანიის გარემოცვისაკენ არის მიმართული, გააძლიერა გერმანიის მისწრაფება დაახლოებოდა სსრ კავშირს.

ინგლისი

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). ლონდონის გაზეთებს ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოჰყავს ცნობა გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ და თვით ხელშეკრულების ტექსტი.

ხელშეკრულების დადებამ საფუძველი მისცა მთელ რიგ გაზეთებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს მკაცრად გაეკრიტიკებინათ ჩემბერლენის პოლიტიკა. გაზეთ „სტარის" მიმომხილველი სწერს: „მოსკოვის აზრით, ჩემბერლენს არასოდეს არ უფიქრნია დაედო პაქტი საბჭოთა რუსეთთან, ჩემბერლენს აზრად ჰქონდა მოეწვია ხუთი სახელმწიფოს კონფერენცია, რომელთაგანაც საბჭოთა კავშირი გამორიცხული იქნებოდა".

„მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს, რომ „უკანასკნელი წლების ამბებმა საბჭოთა მთავრობას დიდი უნდობლობა ჩაუნერგეს საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკისადმი".

„დეილი უორკერი" მოუწოდებს თემთა პალატას აიძულოს ჩემბერლენი გასცეს პასუხი, თუ რად მიიყვანა მან თავისი პოლიტიკით ინგლისი ომის კარამდე. გაზეთი თვალსაჩინო ადგილას ათავსებს ბარკინგების ქარხანა „როდენსაიდის" მელითონეთა რეზოლუციას, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ აღტაცებაში მოვყევართ იმ მოთმინებას, რომელიც სსრ კავშირმა გამოიჩინა ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს, და სწორად მიგვაჩნია პოლიტიკა საბჭოთა მთავრობისა, რომელმაც ხელი მოაწერა თავდაუსხმელობის პაქტს გერმანიასთან. ჩვენი ფიქრით, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას".

საფრანგეთი

პარიზი, 24 აგვისტო (საკდესი). საფრანგეთის პრესა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. გაზეთ „ტანს" მოჰყავს „პრავდისა" და „იზვესტიის" იმ მოწინავეთა შინაარსი, რომლებიც მიძღვნილია ხელშეკრულებისადმი.

მთელი რიგი გაზეთები, რომელნიც ახლოს დგანან ოფიციალურ წრეებთან, ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი დადებული ხელშეკრულების ნამდვილი რაობისა და მნიშვნელობის შესახებ. დამახასიათებელია, რომ გაზეთები „ჟურნალ დე დება", „ტანი" და სხვები, რომლებიც გაძლიერებით ცდილობდნენ შეეჯახებინათ საბჭოთა კავშირი და გერმანია, ახლა ყოველნაირ ხერხს მიჰმართავენ, რათა დაამტკიცონ, რომ ხელშეკრულება არცერთი ამ ქვეყნისათვის არ არის ხელსაყრელი.

ოფიციალურ წრეებთან ახლოს მდგომი გაზეთები ცდილობენ სსრ კავშირს დააკისრონ პასუხისმგებლობა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების უშედეგობისათვის. უპასუხებს რა ამ ინსინუაციებზე, გაზეთი „სე სუარ" აცხადებს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიებს, რომლებიც მოსკოვს ჩავიდნენ, იმის რწმუნებებიც კი არა ჰქონდათ, რომ წმინდა ტექნიკური ხასიათის შეთანხმებანი დაედოთ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს: ლონდონში გაძლიერებით ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ როდესაც ჩემბერლენი სამხედრო მისიას ჰგზავნიდა მოსკოვში, ამით მას სურდა გაეადვილებინა თავისთვის პარლამენტის დათხოვნა საარდადეგოდ.

დარნერი გაზეთ „ლუმანიტეში" ხაზგასმით აღნიშნავს: სსრ კავშირს თავისი მტკიცე პოლიტიკით სერიოზული განძი შეაქვს მშვიდობიანობის საქმეში.

თურქეთი

ანკარა, 24 აგვისტო (საკდესი). დღევანდელი დილის გაზეთები ვრცელ გამოხმაურებას ათავსებენ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. გაზეთები სწერენ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადება განხილულ უნდა იქნას, როგორც ევროპაში ომის საწინააღმდეგო გარანტია.

გაზეთი „ვაკიტი" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ სსრ კავშირის—საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის ერთერთ მონაწილის—სახით გამოდის თურქეთის გულითადი მეგობარი, რომელმაც თავისი მეგობრობა დაგვიმტკიცა დამოუკიდებლობისათვის თურქეთის ბრძოლის მძიმე დღეებში. „თურქეთს შეუძლია კმაყოფილი იყოს,—ნათქვამია მოწინავეში,—რომ სსრ კავშირის ერთერთ საზღვარზე აღმოფხვრილია საფრთხე. გაზეთი აცხადებს, რომ სსრ კავშირი მუდამ ჰმატებდა ძალას მშვიდობიანობის ფრონტს".

გაზეთი „სონ ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებულ შეთანხმებას მთელს მსოფლიოში ისე უყურებენ, როგორც დიდ პოლიტიკურ მოვლენას. გაზეთი სწერს, რომ ამ ხელშეკრულებას მშვიდობიანობის მეგობრები მშვიდობიანობის პოზიციების განმტკიცებისათვის საბრძოლველად გამოიყენებენ.

კაპიტალის კონცენტრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტომ საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ. 1938 წლის დამლევისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში 28 კომპანია იყო, რომელთაგან თვითეულს 1 მილიარდ დოლარზე მეტი კაპიტალი ჰქონდა, ამასთან ყველა ამ კომპანიის კაპიტალი 53.691 მილიონ დოლარს უდრიდა.

1919 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 6 ასეთი კომპანია იყო, ხოლო მათი კაპიტალების საერთო თანხა 10 მილიარდ დოლარზე ნაკლებს შეადგენდა.

ამ კომპანიებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ამერიკის მძლავრ მონოპოლიურ სატელეფონო გაერთიანებას—„ბელ ტელეფონ სისტემს", რომელსაც 1938 წლის დამლევისათვის 5.119 მილიონი დოლარი კაპიტალი ჰქონდა. მეორე ადგილი უჭირავს სადაზღვევო კომპანია „მეტროპოლიტენ ლაიფ ინშურენს კომპანის", რომლის კაპიტალი 4.942 მილიონ დოლარს უდრის. ნავთის კომპანია „სტანდარტ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯერსის", რომლის კაპიტალი 2.044 მილიონ დოლარს შეადგენს, მერვე ადგილი უჭირავს, ხოლო საავტომობილო კომპანია „ჯენერალ მოტორს", რომლის კაპიტალი 1.589 მილიონ დოლარს უდრის, მეთოთხმეტე ადგილი უჭირავს.

ვემზადოთ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის მესამე გამოსვლა ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს საბჭოთა მრავალერიან ხალხის უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი.

საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ორგანიზებულად წარმართვა დიდად არის დამოკიდებული მშრომელებში ბოლშევიკური სააგიტაციო მუშაობის გაშლაზე, დეპუტატთა ყოველდღიურ საქმიანობასა და მათს ანგარიშგებაზე.

ჭიათურის რაიონში არჩევნების დებულების გამოქვეყნებისთანავე გაიშალა საგიტაციო მუშაობა. დებულების ახსნა-განმარტებას და წაკითხვას ადგილებზე აწარმოებენ ის აგიტატორები და მესაუბრეები, რომელთაც ასეთივე ხასიათის მუშაობის შესრულება უხდებოდათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს.

„დეპუტატი ხალხის მსახურია", — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, მაგრამ ჩვენი რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს დეპუტატი ჯერ კიდევ ვერ ანაღდებს საქმით თავის ამ დიდ მოვალეობას. ზოგიერთი დეპუტატი ამომრჩეველთა მიერ მიცემული განწესის შესრულებაზე სრულიად არ ზრუნავს. მაგალითად, პერევისის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, მემინდვრეობის სექციის ხელმძღვანელი შ. წერეთელი მშრომელთა მიერ მიცემულ დავალებას არაფრად არ სთვლის. მას მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევია სექციის სხდომა. რგანის სასოფლო საბჭოს [illegible] ხვედელიძე და სარქველეთუბნის დეპუტატი სიკინჭილაშვილი ვერ ამართლებენ ხალხის მსახურის საპატიო სახელწოდებას. ამ სასოფლო საბჭოებში მასობრივ-პოლიტიკური საგიტაციო მუშაობა მეორეხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული. ამიტომაა, რომ ეს სოფლები კეთილმოწყობის მხრივ დიდად ჩამორჩებიან.

ასე როდია იქ, სადაც დეპუტატები ამომრჩეველთა მიერ მიცემული განწესის შესასრულებლად ენერგიულად იბრძვიან. ჩვენ გვყავან მოწინავე სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, რომელნიც დაუღალავად მუშაობენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის. ასეთებია, მაგალითად, მანდაეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კვიჟინაძე, ჩხირაულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კაპანაძე და სხვ.

არჩევნებისათვის მზადება დაიწყო. საჭიროა არჩევნების დებულების თვითეულ ამომრჩევლამდე დაყვანისათვის დეპუტატებმა ფართოდ გაშალონ მასობრივი საგიტაციო-პოლიტიკური მუშაობა.

ბოლშევიკური აგიტაციის გაშლის საფუძველზე ჩვენ გამოვამჟღავნებთ და გავანადგურებთ კლასობრივი მტრების ნაბოლარებს. არ მივცემთ მათ საშუალებას ხელი შეგვიშალონ ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ არჩევნებს მომზადებული შევხვდეთ.

გრ. ჭელიძე

ჭიათურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში უკვე დაიწყო მზადება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის.

№ ნაწილში ყველა დანაყოფის პოლიტმუშაკებმა, მებრძოლებმა და მეთაურებმა შეისწავლეს არჩევნების დებულება. გამოყოფილი არიან საუკეთესო აგიტატორები კომუნისტები ამხ. კაზაროვი, ჩერნიკოვიჩი, ხალინი და სხვ., რომლებიც მასობრივი მუშაობის საათებში მებრძოლებს აცნობენ არჩევნების დებულებას და საბჭოთა საარჩევნო სისტემას.

ლენკუთხეებში მოწყობილია დაფები, სადაც გამოკრულია არჩევნების დებულება. ყველგან გამოკრულია პლაკატები, ლოზუნგები, რომლებიც მებრძოლებს მოუწოდებენ არჩევნებისათვის საუკეთესოდ მზადებისაკენ. პარტორგანიზაციის ბიუროს განზრახული აქვს კვალიფიციური მოხსენებებისა და ლექციების ჩატარება არჩევნების შესახებ.

რ. ქადაგიშვილი

წითელარმიელი

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. **სურათზე:** თბილისის კიროვის სახელობის რაისაბჭოს განათლების განყოფილების მე-79 სკოლის დირექტორი ა. ტეროვსეპიანი და პიონერხელმძღვანელი ა. პეტროსიანი აწყობენ ფიზიკა-ქიმიის კაბინეტს. საქდესის ფოტოქრონიკა.

პ. რატიანი

ხალხთა სტალინური ოჯახი

მეფის რუსეთს **ლენინი** ხალხთა საპყრობილეს უწოდებდა. ამ ორ სიტყვაში მოცემულია ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის სრული დახასიათება. გაუგონარი ჩაგვრა და ექსპლოატაცია, უუფლებობა, სიღატაკე, სიბნელე, ეკლესიები, პოლიცია და ციხეები — აი ძველი რუსეთის დამახასიათებელი ნიშნები.

განსაკუთრებით აუტანელი იყო რუსეთის იმპერიის განაპირა კუთხეების ხალხთა ცხოვრება; განაპირა კუთხეებში, როგორც ამხანაგი **სტალინი** ამბობდა, ცარიზმი განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა ორმაგი ექსპლოატაციისაგან განაწამები მასები.

მაგრამ ეს იყო წარსულში...

სოციალისტური რევოლუციის მძლავრმა ქარიშხალმა გააცამტვერა ძველი რუსეთის გამოფიტული ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო და შექმნა მრავალეროვანი მტკიცე საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო. ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ სსრ კავშირის ხალხები შეადუღა ერთ მთლიან, განუყოფელ სტალინურ ოჯახად, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს.

სსრ კავშირის ხალხთა ძმური ოჯახის სიმტკიცე, შეურყევლობა და სიდიადე განსაკუთრებული ძალით იგრძნობა მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებულია თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის მშვენიერი პავილიონები. ძნელია კაცმა სთქვას, თუ რომელია უკეთესი ამ პავილიონებს შორის; ისინი, უკლებლივ ყველანი, საუკეთესო არიან, ყველა მათგანი უდიდესი ხელოვნებით ასახავს თავისი რესპუბლიკის დიად ისტორიულ გამარჯვებებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში.

დადიხარ მოკავშირე რესპუბლიკათა პავილიონებში და ასე გგონია, თითქოს თვით ამ რესპუბლიკებში დადიხარ, თითქოს უშუალო მოწმე ხარ იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებენ სსრ კავშირის ხალხები თავიანთი ბედნიერებისათვის, კომუნიზმის დიადი საქმისათვის.

რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა—პირველი თანასწორთა შორის—გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალი საუცხოო პავილიონით, რომელთაც მნახველები აღტაცებაში მოჰყავთ. რუსეთის ცენტრალური ოლქები, ლენინგრადი და ჩრდილო-აღმოსავლეთი, მოსკოვის ოლქი, ვორონეჟის, კურსკის და ტამბოვის ოლქები, პოვოლჟიე, ჩრდილოეთ-კავკასია და ყირიმი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, აგრეთვე რუსეთის სხვა მთელი რიგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები გამოფენაზე წარმოდგენილნი არიან საკუთარი პავილიონებით. ადამიანს გული სიხარულითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით გევსება, როდესაც უცქერი ამ მშვენიერ პავილიონებში თავმოყრილ საკვირველ სტენდებს, ციფრებს, სურათებსა და დოკუმენტებს; თითქოს საკუთარი თვალით უცქერი დიდი რუსეთის იმ განუზომელ სიმდიდრეს, ძალასა და ძლიერებას, რომელსაც ასე თვალნათლივ ასახავენ ეს პავილიონები.

უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს პავილიონ „პოვოლჟიეს" თავზე აღმართული ჩაპაევის შესანიშნავი სკულპტურა: სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ზის ფაფარაყრილ ცხენზე და ხმალამოწვდილი წინ მიუძღვის თავის გმირულ დივიზიას პოვოლჟიეს ველებზე მტრების შესამუსრავად. ეს გამხდარი, მაგრამ მრისხანე ფიგურა ოდესღაც თავზარს სცემდა თეთრგვარდიელ ბანდიტებს, რომელთაც სურდათ ჩაეხშოთ ხალხის თავისუფლება. ამჟამად კი პოვოლჟიეს თავისუფალ ველ-მინდვრებზე ენერგიულად შრომობენ კოლმეურნე გლეხები და წარმატებით აშენებენ იმ ბედნიერ ცხოვრებას, რომლისთვისაც უხვად დაღვარა სისხლი საბჭოთა ხალხმა.

პავილიონი „შორეული აღმოსავლეთი" მოგვაგონებს ჯავშანშემოვლებულ სიმაგრეს, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის საზღვრების სიმტკიცესა და შეუვალობას. უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს პავილიონის ცენტრალურ დარბაზში წარმოდგენილი კომპოზიცია, რომელიც ასახავს იაპონელ ყაჩაღებთან შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ორ დაუვიწყარ ეპიზოდს: ვოლოჩაევკასა და ხასანს. შორეულ აღმოსავლეთის პავილიონში შემსვლელი გრძნობს, რომ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა საიმედო დამცველთა ხელშია.

პავილიონი „საბჭოთა არქტიკა" ამაღელვებლად მოგვითხრობს ბოლშევიკების გმირულ ბრძოლაზე შორეული ჩრდილოეთის დასაპყრობად, მოგვითხრობს არქტიკის დაუშრეტელ სიმდიდრეებზე და იმ ადამიანებზე, რომლებმაც არქტიკის მიწა გამოსტაცეს თოვლსა და ყინულს. უხსოვარი დროიდან იბრძვის კაცობრიობა ცივი ჩრდილოეთის დასაპყრობად, ათასობით მამაცი ადამიანები დაიღუპნენ სტიქიასთან უთანასწორო ბრძოლაში, და მხოლოდ ბოლშევიკებმა შესძლეს მრისხანე ჩრდილოეთის დამარცხება — აი შთაბეჭდილება, რომელიც ადამიანს რჩება ამ პავილიონის დათვალიერების შემდეგ.

პავილიონი „ციმბირი" ოსტატურად ასახავს სოციალისტური ციმბირის გრანდიოზულ წარმატებებს. მნახველები აღტაცებაში მოდიან ეფრემოველთა შესანიშნავი წარმატებებით. თვითმპყრობელობის შავბნელ დროში ძნელად თუ მოიპოვებოდა ხალხისათვის იმაზე უფრო საძულველი სიტყვა, ვიდრე იყო სიტყვა: ციმბირი. ჩვენი სამშობლოს ათეულ ათასობით საუკეთესო, სპეტაკი ადამიანები იტანჯებოდნენ ციმბირის უდაბურ ველებსა და შავ კატორღებში. ამჟამად კი ციმბირი გადაქცეულია ჩვენი ქვეყნის აყვავებულ ინდუსტრიულ-აგრარულ მხარედ.

პავილიონ „ციმბირის" შესავალთან კედელზე აღბეჭდილია დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის სიტყვები: „წინათ იყო ციმბირი კატორღული, თვალუწვდენი მხარე უსაზღვრო მწუხარებისა, მხარე ბორკილებისა და სიკვდილისა. ახლა არის განახლებული საკოლმეურნეო მიწა — საბჭოთა ციმბირი, მხარე სოციალისტური შემოქმედებისა".

პავილიონი წარმოადგენს ამ სიტყვების თვალნათლივ დადასტურებას. მართლაც აღარ არის ძველი ციმბირი, ისევე როგორც აღარ არის „ხალხთა საპყრობილე" — თვითმპყრობელური რუსეთი; არის განახლებული საბჭოთა ციმბირი, არის აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირი, რომელიც აქ, ამ გამოფენაზე ახდენს თავისი მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებების მძლავრ დემონსტრაციას.

რუსეთის სფს რესპუბლიკის პავილიონების გვერდით არიან მოძმე რესპუბლიკების ერთიმეორეზე უკეთესი, მრავალფეროვანი და მდიდარი პავილიონები.

საბჭოთა უკრაინის პავილიონში შესანიშნავადაა წარმოდგენილი ის ჭეშმარიტად გრანდიოზული წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა უკრაინის ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. განუზომელია უკრაინის ბუნებრივი სიმდიდრენი. უკრაინა წარმოადგენს სსრ კავშირის პირველ მეტალურგიულ და ქვანახშირის ბაზას. იგი იძლევა ქვანახშირის მთელი საკავშირო წარმოების 50 პროცენტს, თუჯის 60 პროცენტს, პურის საერთო-საკავშირო წარმოების 20 პროც., ქერის — ერთ მესამედს, შაქრის ჭარხლის — 73 პროცენტს და ა. შ.

მდიდარია საბჭოთა უკრაინა, უხვია მისი მიწა. ეს სიმდიდრე და სიუხვე საუცხოოდაა ასახული მათ მშვენიერ პავილიონში.

არანაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებს **საბჭოთა ბელორუსიის** პავილიონი. წინათ ამ რესპუბლიკის მეოთხედი ნაწილი გაუვალი ჭაობებით იყო დაფარული. მაგრამ პარტიისა და ხალხის ნებისყოფამ ჭაობს გამოსტაცა 700 ათასი ჰექტ. საუკეთესო სათესი ფართობი. წინანდელი ჭაობის ადგილას ახლა ჰყვავიან ძვირფასი კულტურები. პავილიონის ცენტრალურ დარბაზში ნაჩვენებია, თუ როგორ აქტიურად ეხმარებიან ბელორუსიის კოლმეურნეები წითელ მესაზღვრეებს საბჭოთა საზღვრების დაცვის საპატიო საქმეში. საბჭოთა ბელორუსია სსრ კავშირის უძლეველი ფორპოსტია დასავლეთის საზღვარზე!

დიდი ყურადღებით ათვალიერებენ მნახველები შუა აზიის რესპუბლიკათა საინტერესო პავილიონებს.

უზბეკისტანის სსრ პავილიონი ეფექტიურად ასახავს რესპუბლიკის დიად წარმატებებს. უზბეკისტანი სსრ კავშირის ბამბის წარმოების ძირითადი ბაზაა, იგი იძლევა ამ „თეთრი ოქროს" მთელ საკავშირო წარმოების ორ მესამედს. სამართლიანად უწოდებენ ფერგანის ნაყოფიერ დაბლობს „შუა აზიის მარგალიტს".

ბამბის გარდა უზბეკისტანში განვითარებულია მეხილეობა და მევენახეობა, აგრეთვე მეცხვარეობა. უზბეკისტანი მდიდარია ნავთით, ქვანახშირით, სპილენძით, იშვიათი ლითონებით. ყველაფერი ეს ჰქმნის უზბეკისტანის მშრომელი გლეხობის ბედნიერი ცხოვრების საფუძველს.

მებამბეობა, როგორც სოფლის მეურნეობის მთავარი და წამყვანი დარგი, წარმოდგენილია აგრეთვე ტაჯიკისტანისა და თურქმენისტანის საბჭოთა რესპუბლიკების პავილიონებში. **ტაჯიკისტანში** ბამბას ასიათას ჰექტარზე მეტი ტერიტორია უჭირავს. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ტაჯიკისტანში ირიგაციის საქმეზე დაიხარჯა 270 მილიონი მანეთი. შექმნილია მდინარე ვახშის დაბლობის სარწყავი სისტემა, რომელსაც სამართლიანად ეძახიან „საბჭოთა ეგვიპტეს", აღმოსავლეთ ბუხარა — წინათ ყველაზე დაჩაგრული და დაბეჩავებული ქვეყანა, ახლა სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ სწრაფად მიდის აღმავლობის გზით სსრ კავშირის მთელ ხალხთან ერთად.

თურქმენისტანში ბამბის ნათესებს უჭირავს 154 ათასი ჰექტარი ტერიტორია. ბამბასთან ერთად იქ მოჰყავთ აგრეთვე ქერი, სიმინდი, ლობიო, სხვადასხვა ბოსტნეული, ხილი და სუბტროპიკული კულტურების მთელი რიგი საუკეთესო სახეები. დიდად არის განვითარებული მეცხვარეობა. აქ აშენებენ ისეთი ძვირფასი ჯიშის ცხვარს, როგორიცაა კარაკულის ცხვარი.

ყაზახსტანის პავილიონში უდიდესი ხელოვნებითაა ასახული რესპუბლიკის წარმატებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. ყაზახსტანი დიდი და მდიდარი ქვეყანაა. მისი ტერიტორია აღემატება გერმანიის, იტალიის, პოლონეთისა და იაპონიის ტერიტორიებს ერთად აღებულს. მიწა ნაყოფიერია და უხვად იძლევა პურს, ბამბას, ბრინჯს, თამბაქოს, მრავალნაირ ხილეულს. მიწის წიაღში დიდი რაოდენობით მოიპოვება ნავთი, ნახშირი, ტყვია, სპილენძი, ოქრო და სხვა იშვიათი ლითონები. პავილიონში ნაჩვენებია, თუ როგორ წარმატებით ხორციელდება პარტიისა და მთავრობის მითითება ყაზახსტანის გადაქცევის შესახებ სსრ კავშირის მესაქონლეობის ძირითად ბაზად აღმოსავლეთში. ყაზახსტანის თვალუწვდენ მინდვრებზე სწრაფად მრავლდებიან საკოლმეურნეო ჯოგები. ყაზახმა ხალხმა თავის საუცხოო პავილიონში წარმოადგინა მრავალი ცოცხალი საბუთი იმ დიდი გამარჯვებებისა, რომელსაც ასე მშვენივრად უმღერს თავის ლექსებში ყაზახი ხალხის საყვარელი შვილი ჯამბულ ჯაბაევი.

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის საინტერესო პავილიონში შესვლისას ადამიანი განსაკუთრებული ძალით გრძნობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ძალასა და უძლეველობას. წინათ ყირგიზ ხალხს ფეხქვეშ სთელავდნენ მეფის სატრაპები. მარტო ერთმა ბოქაულმა ბოკურევიჩმა, რომელიც ასრულებდა ბრძანებას — „ყოველი შემხვედრი ყირგიზი განადგურდეს და აულები დაიწვას", ერთი დღის განმავლობაში შამსინის გადასავალთან ამოწყვიტა 1.500 ყირგიზი. რევოლუციამდე ყირგიზეთში სრული სიბნელე მეფობდა მთელი ხალხი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობაც კი.

სულ სხვა სურათია ახლანდელ ყირგიზეთში. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად მშობლიურ ყირგიზულ ენაზე გამოდის 60 გაზეთი და იბეჭდება ათასობით წიგნები. ყირგიზეთის სოფლის მეურნეობაში მუშაობს 8.800 ტრაქტორისტი, კომბაინერი და შოფერი, 1.000-ზე მეტი აგრონომი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი. უდიდესი სისწრაფით განვითარდა ყირგიზეთის როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა. ყირგიზეთის ქვანახშირი შუა აზიის მრეწველობის ძირითადი სათბობი ბაზაა. მეცხოველეობის განვითარებაში ყირგიზეთს ერთერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში.

მნახველთა უდიდეს ინტერესს იწვევს ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პავილიონები, რომლებიც ერთიმეორის გვერდით არიან ჩამწკრივებულნი.

აზერბაიჯანი ნავთისა და ბამბის ქვეყანაა. სამი მეოთხედი მთელს სსრ კავშირში მოპოვებული ნავთისა ბაქოზე მოდის. ბამბის მოსავლის მხრივ კი აზერბაიჯანს მეორე ადგილი უჭირავს სსრ კავშირში. მოძმე აზერბაიჯანის ხალხი წარმატებით ანხორციელებს ამხანაგ **სტალინის** მითითებას აზერბაიჯანში სსრ კავშირის მეორე სუბტროპიკული ბაზის შექმნის შესახებ. უკვე ამჟამად აზერბაიჯანში ჩაის უჭირავს 3.232 ჰექტარი, ტუნგოს — 118 ჰექტ., ხოლო ციტრუსებს—23 ჰექტ. პავილიონში წარმოდგენილია ამაღელვებელი სურათები და დოკუმენტები იმ გმირული რევოლუციური ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა წარსულში ბაქოს პროლეტარიატი დიდი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით.

სომხეთის სსრ პავილიონში ეფექტიურადაა წარმოდგენილი უამრავი დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ გადაიქცა წინათ ჩამორჩენილი და დაჩაგრული სომხეთი განვითარებული ინდუსტრიისა და აყვავებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად. მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი რესპუბლიკაში უდრის 361,2 ათას ჰექტარს. საკოლმეურნეო მინდვრებს ამუშავებს 32 მტს-ი, რომლებიც აღჭურვილნი არიან მძლავრი სატრაქტორო პარკით. პავილიონში წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობენ რესპუბლიკაში მევენახეობისა და მეაბრეშუმეობის მაღალ განვითარებას.

გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ ორდენოსანი **საქართველოს** მშვენიერ პავილიონს. იმ ქვეყნის პავილიონი, რომელმაც კაცობრიობას მისცა დიდი **სტალინი**, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. პავილიონის მშენებლებს ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ცოცხლად, ლამაზად და დამაჯერებლად ეჩვენებინათ საქართველოს მრავალფეროვანი სიმდიდრე, მისი უდიდესი წარმატებანი როგორც სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობისა და კულტურის დარგში.

○

ოთხ დღეს ათვალიერებენ გამოფენის პავილიონებს კოლმეურნეები. მეხუთე დღეს კი ისინი ეცნობიან ჩვენი გრანდიოზული დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. რამდენ ძვირფასს და საინტერესოს არ ხედავს კაცი განახლებულ მოსკოვში!

მაგრამ მაინც ყველაზე ძვირფასი და დაუვიწყარი—ეს არის ორი სანახაობა: მავზოლეი, სადაც განისვენებს ადამიანი, რომლის უკვდავი გენიით განათებულია სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერი ცხოვრების გზა, და კრემლი, სადაც დაუღალავად მოქმედებს ადამიანი, რომელმაც შექმნა სსრ კავშირის ხალხთა ძმური ოჯახი და რომელსაც ძლევამოსილად მიჰყავს ჩვენი ხალხი წინ, კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

მოსკოვი.

ყოველნაირად განვავითაროთ სტახანოვური სკოლები

გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება

მექანიკური საამქრო ერთერთი მოწინავე საამქროა თბილისის ტრამვაის სახელოსნოებში. აქ მძლავრად არის გაჩაღებული სტახანოვური შრომა, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა. გასული წლის გეგმა საამქრომ 117 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე ნახევარი წლის დავალება — 173 პროცენტით.

საამქროში სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ სოცშეჯიბრებას, შრომის სტახანოვური მეთოდების ღრმად დანერგვას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ აქ ყველა სტახანოველია, ჩვენ ყოველდღიურად ვხელმძღვანელობთ და პრაქტიკულად ვეხმარებით შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ოსტატებს, სტახანოველებს. ასე, მაგალითად, ვიდრე სტახანოველი მუშაობას შეუდგებოდეს, მას თავისი დაზგა წესრიგში აქვს მოყვანილი, უზრუნველყოფილია საჭირო მასალით. ვაძლევ ნახაზებს, არა მარტო ნახაზებს, არამედ ნახაზებიდან ცალკე ესკიზებსაც, რომ დავალებაში ადვილად და დროულად გაერკვეს, სამუშაო დრო რაციონალურად გამოიყენოს. ვესაუბრები, თუ როგორ უნდა შეუდგეს მუშაობას.

ასეთმა დახმარებამ სერიოზული ნაყოფი გამოიღო. სტახანოველები გეგმებს მაღალი მაჩვენებლებით ასრულებენ. მაგალითად, ამხ. იგიტოვი, ვაისი, ქიტიაშვილი თუ წინათ გეგმას 117-120 პროცენტით ასრულებდნენ, ახლა დღიურ ნორმებს 225-250 პროცენტით ასრულებენ. სტახანოვური სკოლები, რომლებიც ახლახან ჩამოყალიბდა, დიდად ამაღლებს თვითეული მუშის კვალიფიკაციას, ხელს უწყობს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გაზიარებას. უკვე გამოშვებულ იქნა 14 კაცი, რომლებიც გარკვეულად დაეუფლნენ საზეინკლო საქმეს. ეს სკოლა ჩემს მიერ იქნა შექმნილი. ამჟამად ვქმნით მეორე სკოლას სამჭედლო საქმის შესასწავლად.

სკოლამ დიდად აამაღლა პროდუქციის ხარისხი. მაგალითად, თუ გასულ წელს წუნი 6-7 პროცენტს უდრიდა, დღეისათვის დაყვანილია 1-2 პროცენტამდე.

მექანიკური საამქროს ნორმალურ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, კერძოდ დამოკიდებულია ამწყობ საამქროს ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც აწარმოებს ვაგონების წლიურ, საშუალო და კაპიტალურ შეკეთებას. ამწყობმა საამქრომ ვაგონები რომ შეაკეთოს, ამისათვის აუცილებელია ვაგონებისათვის მთელი რიგი ისეთი მზა ნაწილები, როგორიცაა გოგორწყვილები, ცილინდრები, დგუშები, საყელურები, დრეკები, წევები და ა. შ. საამისოდ მექანიკურსა და ამწყობ საამქროს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება, დადებულია სათანადო ხელშეკრულება.

შეჯიბრების მთავარ პირობას, რომ ამწყობ საამქროს დროზე და საკმაო რაოდენობით მიაწოდოს ვაგონის მზა ნაწილები, მექანიკური საამქრო წარმატებით ასრულებს. სტახანოველები გ. ივანოვი, ს. ოზხარელი, ა. ათაბეგოვი, გ. ქიტიაშვილი და სხვ. იძლევიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ბოლშევიკურ ნიმუშებს; მათ მიერ დამზადებული ვაგონის ცალკე ნაწილები საუკეთესო ხარისხისაა.

ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ დავნერგოთ სტახანოვური სკოლის პრაქტიკა, გადმოვიტანოთ კოლხუგინის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშაობის გამოცდილება და ყოველდღიურად ვამრავლოთ სტახანოველთა რიგები. ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაგვიწიონ ამ საქმეში.

ა. ჭანტურია

თბილისის ტრამვაის სახელოსნოების მექანიკური საამქროს გამგის თანაშემწე, ინჟინერი.

ჩემი მოწაფეები

20 წელია ქარხანაში ვმუშაობ. ვიყავი რიგითი მუშაც, ხარატიც. ახლა თბილისის 26 კომისრის სახ. ქარხნის მექანიკური საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელი ვარ. სახარატო დაზგის ყოველი წვრილმანი, ყოველი საიდუმლოება კარგად მაქვს შესწავლილი, დაზგის „ტკივილებს“ ერთი შეხედვით გამოვიცნობ ხოლმე. გასულ წელს ორთვენახევარი მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნებში დავყავი, გავეცანი მათი მუშაობის მეთოდებს და როდესაც დავბრუნდი, ჩემი გამოცდილება ამხანაგებს გავუზიარე.

ჩემს ცოდნას და გამოცდილებას, გარდა იმისა, რომ პრაქტიკულ მუშაობაში ვიყენებ, ვუზიარებ საამქროს მუშებს, ხარატებს. თუგინდ 21 აგვისტოს მაგალითი ავიღოთ. № 31 დაზგის ხარატი გალავატოვი გეგმის შეუსრულებლობაზე ჩიოდა. რკინაა მაგარი, დავალებას ვერ ვასრულებო. დახმარებისათვის მე მომმართა. მყისვე შევატყვე, რომ მთელი მიზეზი, მთელი საიდუმლოება მჭრელებშია, თურმე სათანადო მჭრელი ვერ შეურჩევია და ეს აფერხებს ყველაფერს. შევცვალეთ მჭრელი და დაზგამაც საუკეთესოდ დაიწყო მუშაობა.

მე ამავე დროს ქარხანასთან არსებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლის ინსტრუქტორი ვარ. წელს 40-მდე კაცი მოვამზადე, რომლებიც ახლა ქარხნის საუკეთესო სტახანოველები არიან.

ჩვენ სათანადო დახმარებას გვიწევენ საამქროს ინჟინრები ამხ. ალ. მელაძე და მ. ბეგალიშვილი. გვასწავლიან ნახაზების გარკვევას, გვეხმარებიან ცალკე ნაწილების გამოჩარხვის გაანგარიშებაში და სხვ.

ჩემი ბრიგადა სტახანოვური მუშაობის გამოცდილების ფართოდ გაზიარებით სარეკორდო მაჩვენებლებით შეხვდება სტახანოვური მოძრაობის დასაწყისის 4 წლისთავს.

არ. ბალდასაროვი

მექანიკური საამქროს სტახანოველი ბრიგადირი.

ფეიქრების პასუხი შახტ „ცენტრალნოე-ირმინოს“ მაღაროელთა მოწოდებაზე

ივანოვო, 23 აგვისტო (საქდესი). ოლქის ფეიქრები აღფრთოვანებით შეხვდნენ სტალინის სახელობის შახტ „ცენტრალნოე-ირმინოს“ კოლექტივის მოწოდებას.

მიტინგებზე ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს — ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ სტახანოვური მოძრაობის ოთხი წლისთავი.

მელანჟის კომბინატის 12 ათასიანმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ამა წლის დამლევამდე გამოუშვას 8 თვის პროგრამის გადამეტებით 1.100 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი და 1.800 ათასი მეტრი მზა ქსოვილი.

ოლქის ბამბეულის მრეწველობის მეორე და მესამე მთავარ სამმართველოთა ათმა მოწინავე საწარმომ ვადამდე შეასრულა 8 თვის პროგრამა. ამ საწარმოთა ფეიქრები სტახანოვური მოძრაობის ოთხი წლისთავის აღსანიშნავად 8 თვის პროგრამის გადამეტებით გამოუშვებენ 1.154 ტონა ნართს, 2.595 ათას მეტრ ხამ ქსოვილს და 5.400 ათას მეტრ მზა საქონელს.

სტახანოვური გამოცდილების გაზიარების შედეგად

მექანიკური საამქროს ხარატების ბრიგადას ვხელმძღვანელობ. უნდა ითქვას, რომ ჩემი ბრიგადა ერთერთ მოწინავე, სტახანოვურ ბრიგადად ითვლება მთელ ქარხანაში, დავალებას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ წარმატებას შრომის სწორი ორგანიზაციითა და სტახანოვური მუშაობის გამოცდილების გაზიარებით მივაღწიეთ.

მე, როგორც ბრიგადირი, ყოველთვის ვეხმარები ცალკეულ სტახანოველებს, ვუზიარებ მათ ჩემს გამოცდილებას.

ამასწინათ მე სახარატო ჩარხის მუშაობა გავაუმჯობესე, რითაც ერთიორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ყველას როდი შეეძლო ამ ჩარხზე მუშაობა, იგი თავისებურ საიდუმლოებას ატარებდა. მე ეს საიდუმლოება გავაცანი ხარატ ნ. არუთინოვს და რამდენიმე დღის შემდეგ ის საუკეთესოდ დაეუფლა ჩარხს, ის ახლა დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს.

მე შევეცდები ჩემი სტახანოვური გამოცდილება კიდევ უფრო ფართოდ გადავცე ახლადმოსულ, შედარებით ჩამორჩენილ მუშებს, რათა დაწინაურდნენ და გახდნენ სანიმუშო სტახანოველები.

ჩემი ბრიგადა სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით, საწარმოო ფრონტზე ახალი გამარჯვებით შეხვდება სტალინის სახელობის „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტში ალ. სტახანოვის სანგრევი უროს გოლიათური დარტყმის — სტახანოვური მოძრაობის დასაწყისის ოთხი წლისთავს.

მ. აკოფოვი

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქროს სტახანოველი ბრიგადირი.

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა

საქართველოს პავილიონის მუშაკთა შეხვედრა მოსკოვის პრესის წარმომადგენლებთან

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). 22 აგვისტოს საქართველოს პავილიონი ინახულა 69 ორგანიზებულმა ექსკურსიამ. პავილიონი დაათვალიერეს კოლმეურნეებმა ყირიმიდან, ბურიატ-მონღოლეთიდან, კაზახეთიდან, შორეულ აღმოსავლეთიდან, ბაშკირეთიდან. თითქმის ერთ საათს ათვალიერებდა პავილიონს მოსკოვში ხაშურის რაიონიდან 21 აგვისტოს ჩამოსული კოლმეურნეთა ჯგუფი.

საღამოს 9 საათზე პავილიონის ორანჟერიიდან ჩატარდა ტრანსლაცია რადიოთი უკრაინისა და ბელორუსიისათვის. რადიოთი გამოვიდნენ პროფესორი ლომოური და ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ქალი ამხ. ლატარია. პროფესორმა ლომოურმა თავის მიმართვაში უსურვა უკრაინისა და ბელორუსიის კოლმეურნეებს, რომლებმაც წელს გამოფენა დაათვალიერეს, რომ ისინი მომავალ წელს გამხდარიყვნენ მისი მონაწილენი. ამხ. ლატარიამ ჩაატარა ერთგვარი დაუსწრებელი ექსკურსია. მან უამბო რადიომსმენელებს უკრაინაში და ბელორუსიაში იმის შესახებ, თუ რა ხდება პავილიონის ორანჟერიაში და მის გარშემო მწვანე ნარგავებში — ხეხილისა და კენკრის ბაღში, ჩაის გორაკზე, ბამბუკისა და ევკალიპტის ჭალაში.

საღამოს საქართველოს პავილიონი დაათვალიერა და დაწვრილებით ნახა ამხ. დიმიტროვმა.

პავილიონის დახურვის შემდეგ გამოფენის ტერიტორიაზე შესდგა პავილიონის მუშაკთა შეხვედრა მოსკოვის პრესის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს: „პრავდის“, „იზვესტიას“, „კომსომოლსკაია პრავდის“, „მოსკოვსკი ბოლშევიკის“, „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს“, „სოვხოზნაია გაზეტას“ და მოსკოვის სხვა გაზეთების თანამშრომლებმა. შეხვედრას დაესწრო აფხაზეთის წარჩინებულ მეთამბაქოეთა ჯგუფი და კოლმეურნეები აჭარის მანდარინის კოლმეურნეობებიდან.

კრება გახსნა საქართველოს პავილიონის დირექტორმა ვ. დ. ბუჯიაშვილმა. პავილიონის მთავარმა აგრონომმა რცხილაძემ უამბო დამსწრეთ საქართველოს კოლმეურნეთა გმირული მუშაობის შესახებ, რომლებმაც მიაღწიეს სარეკორდო მოსავალს, მეაბრეშუმეობის რეკორდსმენებზე, მეცნიერების ადამიანებზე, რომლებიც მუშაობენ სოციალისტური მიწათმოქმედების აყვავებისათვის. პავილიონის მთავარმა არქიტექტორმა ა. ს. ქურდიანმა უამბო დამსწრეთ იმის შესახებ, თუ როგორ შენდებოდა პავილიონი. შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ლანჩხუთის რაიონის 75 წლის კოლმეურნის ამხ. ნაკაიძის სიტყვა. ამხ. ნაკაიძე ციტრუსების ერთერთი საუკეთესო მომვლელია საქართველოში. მან უამბო დამსწრეებს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის გამარჯვებებზე, სადაც იგი მუშაობს, თავის მოწაფეებზე, აგროტექნიკის დანერგვაზე. მისი საბოლოო სიტყვა, რომელშიც მან მადლობა უძღვნა ამხანაგ **სტალინს** ბედნიერი შეძლებული ცხოვრებისათვის, დაჰფარა საერთო ტაშმა.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე კოლხიდის დიორამის ავტორი მხატვარი კელჩევსკი, პავილიონის ექსკურსიის ხელმძღვანელები, „სოვეტსკიე სუბტროპიკის“ რედაქციის წარმომადგენლები.

30 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი მიძღვნილი დიდი ფიზკულტურული დღესასწაული. ამ დღეს სტადიონზე ნაჩვენები იქნება ქართული ხალხური თამაში „ლელო“.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

წელს ზუგდიდის რაიონის მეაბრეშუმეებისათვის დარიგებული 605 კოლოფი თესლიდან უნდა დამზადებულიყო 267.100 კილოგრამი პარკი. ფაქტიურად დამზადებულია და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 267.296 კილოგრამი პარკი,—გეგმის 100,8 პროცენტი.

პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი გრ. ჩაჩიბაია

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის ბიურომ ამ დღეებში მიიღო სპეციალური დადგენილება „სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მასალების პროპაგანდის ღონისძიებათა შესახებ“. აჭაროლქკომის ბიურომ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ გამოფენის მასალების პროპაგანდა აჭარის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და ყველა მშრომელთა შორის, წარმოადგენს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო გაშლას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულებას და 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რიცხვის ზრდას.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის ბიურომ დაავალა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის, რაიკომებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს გაშალონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მასალების პოპულარიზაციისათვის, გამოფენის მონაწილეების, ექსკურსანტებისა და რაიონული აქტივის საშუალებით მოაწყონ ლექციები, საუბრები და გამოფენის მასალების კითხვა.

საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს დაევალათ ამ საკითხის გარშემო კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ჩაატარონ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა კრებები. მომხსენებლებად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები და ექსკურსანტები; სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მასალების პროპაგანდის საფუძველზე ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, საკოლმეურნეო ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს შორის 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტს და რაიკომებს დაევალათ მოაწყონ პარტკაბინეტებში, ქოხ-სამკითხველოებში და წითელ კუთხეებში იმ მასალებისა და ფოტოსურათების გამოფენა, რომლებიც ასახავენ მიღწეულ წარმატებებს, რაც ნაჩვენებია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, და გამოიყენონ ამისათვის მასალები, რომლებიც იბეჭდება „პრავდასა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

გაზ. „ბატუმსკი რაბოჩის“ და „საბჭოთა აჭარის“, აგრეთვე რაიონული გაზეთების რედაქციებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მასალები, მოაწყონ გაზეთების ფურცლებზე იმ ამხანაგების შთაბეჭდილებათა გაზიარება, რომლებმაც ინახულეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის ბიურომ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყველა მდივნებს დაავალა მთელი პარტიულ-მასობრივი და პოლიტიკური მუშაობა წარმართონ იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილ იქნას აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე მესამე ხუთწლედში მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება, გაადიდონ ციტრუსების, ჩაისა და სხვა კულტურათა მოსავლიანობა, ამრავლონ სოფლის მეურნეობის სტახანოველთა რიგები და ფართოდ გაშალონ სოცშეჯიბრება კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დიდი ინტერესი ეფრემოვული აგროტექნიკისადმი

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). მარცვლეულის პავილიონში დიდ მუშაობას ატარებს თბილისის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ვ. მ. საბატაშვილი. იგი ამ პავილიონზე მიმაგრებულია ექსკურსიის ხელმძღვანელად და ატარებს ექსკურსიებს არა მარტო საქართველოს კოლმეურნეებთან, არამედ რსფსრ სხვადასხვა ოლქების კოლმეურნეებთანაც. თვითეული ექსკურსია გრძელდება საათნახევარს. ყველაზე მეტად რა აინტერესებთ საქართველოდან ჩამოსულ ექსკურსანტებს მარცვლეულის პავილიონში? ამ კითხვაზე ამხ. საბატაშვილი ასეთ პასუხს იძლევა: „ჩვენს სტუმრებს უწინარეს ყოვლისა აოცებთ ეფრემოვული აგროტექნიკის მიღწევები. ისინი დაწვრილებით მეკითხებიან იმ კომპლექსურ ღონისძიებებზე, რომელთა მეოხებითაც ეფრემოველებმა მიაღწიეს საგაზაფხულო ნათესების ასეთ მაღალ მოსავალს. ექსკურსიებს რომ ვატარებ და ექსკურსანტებს ეფრემოველებზე ვუამბობ, მე ხშირად მესმის ასეთი სიტყვები: „აი ეს საქმეა. აი ეს უნდა გავატაროთ ჩვენთან“. კოლმეურნეები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან, ცხოველ ინტერესს იჩენენ აგრეთვე მრავალწლიანი კულტურების საკითხისადმი და დერჟავინის ჭვავ-ხორბლის ჰიბრიდისადმი“.

21 აგვისტოს მარცვლეულის პავილიონი დაათვალიერა სიღნაღელთა ექსკურსიამ 140 კაცის შემადგენლობით. პავილიონი დაწვრილებით დაათვალიერა გამოფენის მონაწილემ, თბილისის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა ამხ. დეკაპრელევიჩმა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. **სურათზე:** კოლმეურნეობათა მოედნის შადრევანთან.

საქდესის ფოტოქრონიკა.

მ. გრინბერგი

საქართველოს ხალხური შემოქმედება

სულ ახლა არ იყო, ისინი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში ლამაზ პანოებზე, სურათებზე და ფოტოგრაფიებზე რომ ვნახეთ? ახლა კი — თითქოს სტენდებიდან ჩამოსულანო — შეკრებილან მუშაობის შემდეგ გრილ საღამოს, რომ იმღერონ თავიანთი საყვარელი სიმღერები და იცეკვონ საყვარელი ცეკვები. კარგად უნდა მღეროდნენ და ცეკვავდნენ ადამიანები, რომლებმაც ასეთი მუშაობა იციან! აი ის, ამაყად თავაწეული რომ დგას ახლა საკონცერტო ესტრადის ცენტრში, — ეგ ხომ არ არის გამოხატული პავილიონში პანოზე წითელი ვაშლებით გავსებული ორი უზარმაზარი კალათით ხელში? მის მარჯვნივ მჯდომარე მომღერალი ქალი ჩონგურით — ეს ის მოცინარი და მხიარული გოგონა ხომ არ არის, რომელიც მხატვარმა დახატა თავის სურათში „მოსავლის აღება“? და მევენახეც — ღვინოების საუკეთესო დეგუსტატორი, ჭიქით ხელში, ეშმაკურად რომ იღიმება, თითქოს გიწვევთ გემოდ ნახოთ მისი ნახელავიო, — აი ის მაღალი და წარმოსადეგი ვაჟკაცი ხომ არ არის, ახლა რომ ჩვენს თვალწინ ცეცხლოვან „ცერულს“ უვლის?

ეს სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. საქართველოს სიმღერებისა და ცეკვის გაერთიანებული საკოლმეურნეო ანსამბლის შემადგენელი 135 კაციდან, რომლებიც ახლა ჩამოვიდნენ თავისი ქვეყნის ხალხური ხელოვნების საჩვენებლად გამოფენაზე, უმრავლესობა ნაციონალური საკოლმეურნეო თვითმოქმედების წარმომადგენლებია — მინდვრების დამკვრელები, ყურძნისა და ციტრუსების მკრეფავები; ისინივეა, ვისაც ჩვენ ვხედებით, როდესაც შევდივართ საქართველოს პავილიონში, ვისი სახეებიც მხატვრებს აღუბეჭდიათ აქ თავიანთ მრავალრიცხოვან სურათებზე.

რა მშვენიერია ქართული ხალხური ცეკვები! თვითეული მათგანი პატარა დამთავრებული პოემაა. „ხორუმი“ — აჭარულ-გურული კოლექტიური სამხედრო ცეკვა, რომელიც გვიჩვენა ანსამბლმა, ეს არის მთელი მოთხრობა სამხედრო დაზვერვაზე, დაჭრილ მებრძოლზე, რომელიც მიჰყავთ ამხანაგებს.

„ლეკურს“ შეიძლება ეწოდოს პოემა სიამაყისა და სიმამაცის შესახებ, მგზნებარე ვნებისა და სილამაზის შესახებ. ეს ცეკვა მოწმობს იმ მაღალ პატივისცემას, რომლითაც გარემოცულია ქალი საქართველოში. ჭაბუკი ანთებული თვალებით, გამბედავი, მამაცი, ვნებით შეპყრობილი, ცეკვის დაუსრულებლად მრავალფეროვანი და რთული ფიგურებით თითქოს სულს გადაუშლის თავის სულის სწორს. მას უნდა მოხიბლოს იგი თავისი სიმამაცითა და სიმარჯვით. ქალი კი — უაღრესი სინაზის, მოხდენილობისა და უბრალოების განხორციელება — თავის პარტნიორს „უპასუხებს“ მოწონების ოდნავ შესამჩნევი ღიმილით, რომლითაც იგი ცდილობს დააწყნაროს, შეაკავოს მისი თავდაუჭერელი გატაცება... ასე მიმდინარეობს ეს ორთა ბრძოლა-დიალოგი ცეკვაში. ცეკვა ხან მიჰქრება, თითქოს ეს არის უნდა შესწყდესო, ხან კვლავ იფეთქებს უფრო დიდი ძალით.

ბრწყინვალე ოსტატობით ასრულებს ხალხურ ცეკვებს ანსამბლის მოცეკვავეთა მთელი ჯგუფი, მისი სოლისტები — ნინა გუნია და ბუხუტი დარახველიძე („ლეკური“), ვახტანგ გოგეშვილი და ილო იჩირაული („მთიულური“) და სხვ. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე იუმორისტული ცეკვის „კინტოურის“ შემსრულებელს ალექსანდრე ჯალაღონიას.

საქართველოს ხალხური ხელოვნება — მისი საუცხოო სიმღერები და ცეკვები მოსკოველ მაყურებელს შეუყვარდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მოსკოვში ჩატარდა ქართული ხელოვნების დეკადა. გაერთიანებულმა საკოლმეურნეო ანსამბლმა თან ჩამოიტანა და ასრულებს მთელ რიგ საუცხოო სიმღერებს. თავის პირველ სიმღერა-პატაკს იგი უძღვნის დიდ სტალინს. „ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე“ — ნათქვამია ამ სიმღერაში, რომელიც ხალხურ მოტივზეა დაწერილი (მუსიკალური დამუშავება ა. მეგრელიძისა). მას მოსდევს საუცხოო სიმღერა „კუჩხი ბედინერი“. ეს არის მეგრული საზეიმო საქორწილო სიმღერა, რომელიც მოგვაგონებს მომღერალთა ცნობილ გაჯიბრებას საქორწილო ნადიმზე ოპერა „აბესალომ და ეთერში“.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს კოლმეურნული სვანური სიმღერა სტალინზე — მადლობა ბელადს. მას ასრულებს ცხრა მომღერალი ხალხური სიმებიანი საკრავის ჭუნირის აკომპანემენტით. ჭუნირზე უკრავს იოსებ მუკბანიანი, რომელიც თვითონვეა სიმღერის ტექსტის ავტორი და სიმღერის დამწყები. ეს სიმღერა ნიმუშია ახალი ოქტომბრის შემდგომდროინდელი ფოლკლორისა, რომელსაც ჰქმნიან ახლა ჩვენი კავშირის ყველა ხალხები. ხალხური სიმღერების ინტონაციებით, რიტმებით გამსჭვალულია ქართველი კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებებიც, რომლებსაც ასრულებს ანსამბლი, — ასეთებია „ჰიმნი სამშობლოს“ და „წითელფლოტელთა სიმღერა“ გრ. კოკელაძისა და ვ. ცაგარეიშვილის წითელარმიელთა სიმღერა.

კონცერტზე დანარჩენი შესრულებული სიმღერებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხალხური სიმღერა ამხანაგ ბერიაზე, ქართლ-კახური სიმღერა ბელადზე — ხალხურ მოტივზე (მიხ. ჯაფარიძის ტექსტი). ხალხური სიმღერა სტალინურ კონსტიტუციაზე, „ლაშქრული“ (დ. კავსაძის დამუშავება), კოლმეურნული მინდვრული და თავისებური გურული ისტორიული სიმღერა „ხასან-ბეგურა“.

პროგრამაში იყო, რასაკვირველია, „სულიკოც“, რომელიც ესოდენ პოპულარულია ჩვენში. უნდა ითქვას, რომ „სულიკოს“ ახლა გამოუჩნდა მეტოქე — ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერა „ჩემო ცისანთელა“ (აკ. წერეთლის სიტყვები), რომელსაც ძალიან ლამაზი მოტივი აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიმღერა, თუ ვიმსჯელებთ იმ წარმატების მიხედვით, რომელიც მას ხვდა აუდიტორიაში, დარჩება მოსკოვში და მას იმღერებენ „სულიკოსთან“ ერთად. რა გრძნობით მღერის ამ ორივე სიმღერას ქართული ანსამბლი! გასაოცრად უბრალოდ, ძალდაუტანებლად და სენტიმენტალობის გარეშე, რომელიც ასე ახასიათებს „სულიკოს“ მრავალ შემსრულებელს ჩვენში. კარგი იქნებოდა მათ ყური დაეგდოთ და ესწავლათ ანსამბლისაგან, თუ როგორ უნდა „სულიკოს“ მღერა, რომელიც ბევრს იგებს სწორედ ამ უბრალო და მარტივი შესრულებით.

„სულიკოს“ და პროგრამის მრავალი სხვა ნაწარმოების შესრულების სტილი მოწმობს მთელი ანსამბლის, მისი ხელმძღვანელის რემა შელეგიას და სოლისტი მომღერლების: ნიკო ხურციას, სერგო ბაქრაძის, სამსონ ხარბედიას, ნიკოლოზ კაკაჩიას, დოდო კოპლატაძის, თამარ კაკაჩიას, ლუბა შელეგიას, შურა ჯაფარიძის კარგ გემოვნებას და ნამდვილ მუსიკალურ კულტურას.

ქართული ხალხური შემოქმედება, რომელიც ნაჩვენები იყო კონცერტზე გამოფენის მონაწილეთა წინაშე, ძალიან ბევრს იძლევა ხალხის გასაცნობად, მისი ცხოვრებისა და კულტურის გასაცნობად. ამ თვალსაზრისით ხალხური შემოქმედება შეიძლება განვიხილოთ როგორც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის თავისებური დამატებითი საუცხოო ექსპონატი.

„პრავდა“, 23/VIII.

◆

გაწვევა წითელ არმიაში

გაწვევისათვის კარგად ემზადებიან

(ზესტაფონი, საკ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ენერგიული მუშაობა გაშალეს 1939 წლის მორიგი გაწვევისათვის მოსამზადებლად. წელს რაიონი წითელ არმიას მისცემს მომზადებულ, ჯანსაღ და წერა-კითხვის კარგად მცოდნე ახალგაზრდობას.

1939 წლის მორიგი გაწვევისათვის მუშაობა თავიდანვე დიდი დაინტერესებით დაიწყო. რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თელავის, ორჯონიკიძის, ხაშურისა და სიღნაღის რაიონები. შეჯიბრების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიონი პირველ ადგილზე დგას მათთან შედარებით, ხოლო მეორე ადგილზე რესპუბლიკაში.

წვევამდელთა მომზადებისათვის ენერგიული მუშაობა ჩაატარა რაიაღმასკომის განათლების განყოფილებამ (გამგე ორდენოსანი ა. ნიკაბაძე). მიმდინარე წელს გასაწვევი კონტინგენტიდან რაიონში წერა-კითხვის არცერთი უცოდინარი წვევამდელი არ არის. არის მხოლოდ 4 მცირემცოდნე, რომლებთანაც მიმდინარეობს მუშაობა და პირველ სექტემბრამდე გამოშვებული იქნებიან სკოლებიდან.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა აგრეთვე წვევამდელთა გაჯანსაღებისათვის. 94 ავადმყოფი წვევამდელიდან განკურნილია 83, რთული ოპერაცია გაუკეთდა 12 წვევამდელს, რომლებიც ამჟამად გამოჯანსაღებული არიან. მიმდინარეობს 11 წვევამდელის მკურნალობა. ეს მუშაობა იმ ვარაუდით მიმდინარეობს, რომ პირველი სექტემბრისათვის ყველა წვევამდელი გამოჯანსაღებულ იქნას.

პირველ ხანებში თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო სუსტად მუშაობდა წვევამდელთა შორის, მაგრამ პარტრაიკომის მესამე პლენუმის სათანადო მითითების შემდეგ თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭომ ეს მუშაობა გააუმჯობესა. გასაწვევი კონტინგენტიდან ვოროშილოვისებურ მსროლელად მომზადებულია წვევამდელთა 52,5 პროცენტი, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნიშანზე ნორმები ჩაბარებული აქვს 73,7 პროცენტს, ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ — 45 პროცენტს, „მზად ვარ სანიტარული თავდაცვისათვის“ — 79,6 პროცენტს. ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ნაკისრი ვალდებულება რაიონმა პირნათლად შეასრულა.

მოსამზადებელ პერიოდში ორჯერ ჩატარდა წვევამდელთა კონფერენცია. მოწინავე წვევამდელებიდან 5,2 პროცენტი მიღებულია პარტიის რიგებში, ხოლო 50 პროცენტი — კომკავშირის რიგებში.

აღსანიშნავია კომკავშირის რაიკომის დახმარება. მან მასობრივი სააგიტაციო მუშაობის გაშლის მიზნით აგიტატორებად და წამკითხველ-მესაუბრეებად გამოჰყო მომზადებული ამხანაგები, რომლებიც წვევამდელებს აცნობენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს და ესაუბრებიან საერთაშორისო საკითხებზე.

გაწვევისათვის მზადების პერიოდში სერიოზული მუშაობა ჩაატარეს: საზანოს, ბოსლევის, მეორე სვირის, როდინოულის, კვალითის, ქვედა საქარის სასოფლო საბჭოებმა. მაგრამ ასე არ ითქმის ზოგიერთ სასოფლო საბჭოზე, რომლებიც არასაკმაო ყურადღებით მოეკიდნენ ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს. ასეთებს ეკუთვნის ცხრაწყარო, ზედა საქარის, კლდეეთის სასოფლო საბჭოები და ზესტაფონის ქალაქის საბჭო.

ვ. გოგიაშვილი

თელავის რაიონის წვევამდელთა კონფერენცია

თელავი, 25 აგვისტო (საქდესი). თელავის ორჯონიკიძის სახ. თეატრში ჩატარდა წვევამდელთა რაიონული კონფერენცია.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და რაიონის სამხედრო კომისრის ამხ. ჭიჭინაძის ინფორმაცია მორიგი გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ. ამხ. ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ წელს წერა-კითხვის არცერთი უცოდინარი არ არის წვევამდელთა შორის, მცირემცოდნეთა რაოდენობა კი გასულ წელთან შედარებით მინიმუმამდე შემცირდა.

წვევამდელთა 29,8 პროცენტმა ნორმები ჩააბარა ვოროშილოველი მსროლელის ნიშანზე, 35 პროცენტმა —„მშთ“ ნიშანზე, საჰაერო ქიმიური თავდაცვის ნიშანზე კი—წვევამდელთა 64 პროცენტმა.

სიტყვა წარმოსთქვა წვევამდელმა ამხ. მარქაროვმა; მან განაცხადა, რომ იგი ენერგიულად მოემზადა გაწვევისათვის. ჩააბარა ნორმები ოთხივე თავდაცვითს ნიშანზე. ამჟამად კი გულმოდგინედ სწავლობს ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას.

სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე წვევამდელმა კომკავშირელებმა: ამხ. შიოშვილმა, ჯავახიშვილმა, ბრელაშვილმა, ხანგოშვილმა, მაზაბლიშვილმა და სხვ.

კონფერენციამ მქუხარე ოვაციებით მიიღო მისალმებანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანის, საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ბაქრაძის და ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ამხ. ი. ტიულენევის სახელზე.

მდგომარეობა ჰონკონგში

